ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2265662

ნომერი: AR1349608

თარიღი : 16.10.2015

გაცემის თარიღი : 28.10.2015

გაცნობის თარიღი : 28.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია დავითაია პ/ნ 01017006963
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 30/7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 16.10.2015 წ. #AR1349608 განცხადებით მომართა იმა "ყაზბეგი 24"-ის თავმჯდომარემ ილია დავითაიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 09.06.2003 წელს ქალაქ თბილისში, ყაზბეგის გამზ. #24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.10.16.001.015 (ფართობი: 8159 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, ოფისები და სხვა) ასაშენებლად მომზადდა #858 სამშენებლო პასპორტი, ხოლო ქალაქ თბილისის

მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.10.2012 წ. #397099 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოხსენებულ აქტში.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.16.001.019 ფართობი – 8074 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 09.06.2003 წელს ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის #858 სამშენებლო პასპორტით დავალება გაცემულია „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც სამშენებლო პასპორტში უნდა აისახოს ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და „ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 01.08.2001 წლის #8-13 გადაწყვეტილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე" ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში, დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.16.001.019 ფართობი – 8074 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015307972), ხოლო სხვა პირობები და მოთხოვნები დარჩეს უცვლელი;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-8074 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.10.16.001.019;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტთან და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.10.2012 წ. #397099 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.